ხელშეკრულება N172

ქ.ხაშური 20 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, ი.მ თამაზ ლომსაძე (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

18 ცალი ფორმის შეკერვის მომსახურება, კულტურის ცენტრების გაერთიანებაში შემავალი ბავშვთა სიმღერის გუნდის „ცხრამუხა" მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის (1 ფორმა - 18.33 ლარი) CPV: 98393000

2.ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **330.00 (სამას ოცდაათი)** ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე

4.2.საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1.საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ხაშური

5.2.საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 21 დეკემბერი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსზღვრულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

.6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1..ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე,შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური რირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

.8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორ მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 20 იანვრამდე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება	ი.მ თამაზ ლომსაძე
ხაშური,რუსთაველის მე-2შესახვევი ხაშური	
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	საიდენტიფიკაციო კოდი 57001009549 ბანკის კოდი BAGAGE22 ა/აGE75BG0000000550563700
გაერთიანების დირექტორი	*ინდ. მეწარმე*
გიორგი ბოლოკაძე	*თამაზ ლომსაძე*